საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/323 "10" დეკემბერი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ პირთა პირველი კრების რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

1. „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ პირთა პირველი კრების რეგლამენტი თანდართული სახით.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
2019 წლის 10 დეკემბრის №1/323 გადაწყვეტილებით

მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ პირთა პირველი კრების
რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე რეგლამენტი, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის (შემდგომში - ასოციაცია) წესდების დამტკიცების, ასევე „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონითა და ასოციაციის წესდებით განსაზღვრული ორგანოებისა და თანამდებობის პირების არჩევის მიზნით, განსაზღვრავს მედიატორთა ერთიან რეესტრში (შემდგომში - რეესტრი) რეგისტრირებულ პირთა პირველი კრების (შემდგომში - კრება) ჩატარებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს.

მუხლი 2. კრების ორგანიზება

1. კრების ჩატარების ორგანიზების მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ქმნის საორგანიზაციო კომისიას. საორგანიზაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომელი.

2. კრების მონაწილეთა რეგისტრაციის მიზნით, რეესტრის მონაცემების საფუძველზე, იქმნება სარეგისტრაციო სია, რომელიც მოიცავს მედიატორის სახელს, გვარს, რიგით ნომერს, აგრეთვე საორგანიზაციო კომისიის წევრისა და მედიატორისათვის განკუთვნილი ხელმოწერის გრაფებს. სარეგისტრაციო სიის ყოველი ფურცელი დამოწმებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ბეჭდით.

3. კრების მონაწილეთა რეგისტრაცია მიმდინარეობს 30 წუთის განმავლობაში. საორგანიზაციო კომისია კრების მონაწილის ვინაობას ამოწმებს საიდენტიფიკაციო დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი) წარდგენის მეშვეობით.

4. კრებაში მონაწილეობის უფლების მიზნით პირს გადაეცემა მანდატი. მანდატზე მითითებულია კრების თარიღი და დამოწმებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ბეჭდით. მანდატის გაცემა დასტურდება პირის მიერ სარეგისტრაციო სიაში ხელმოწერით და საორგანიზაციო კომისიის წევრის მიერ მანდატზე ხელმოწერით.

5. პირი, რომელმაც გაიარა რეგისტრაცია, დარბაზში დაიშვება მანდატის წარდგენის შემდეგ.

6. საორგანიზაციო კომისია რეგისტრაციის დასრულებისთანავე აჯამებს რეგისტრაციაგავლილ პირთა რაოდენობას და აღნიშნულ ინფორმაციას წარუდგენს კრების თავმჯდომარეს.

7. რეგისტრაციაგავლილი პირი, რომელიც დატოვებს დარბაზს, კრებაზე დაიშვება მანდატის წარმოდგენის შემდეგ.

მუხლი 3. კრების მიმდინარეობის პროცედურები

1. კრებას ხსნის და ასოციაციის თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება კრების თავმჯდომარე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

2. კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება რეესტრში ჩარიცხულ მედიატორთა ნახევარი მაინც. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი აცხადებს რეესტრში ჩარიცხულ და კრებაზე დამსწრე მედიატორთა რაოდენობას, რის შემდეგაც ამოწმებს კრების უფლებამოსილებას.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი:

ა) აცნობებს კრებას დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს;

ბ) უძღვება საკითხის განხილვას, საკითხის შინაარსიდან გამომდინარე სიტყვას აძლევს და ჩამოართმევს გამომსვლელს;

გ) კენჭისყრაზე აყენებს საკითხს და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

დ) უზრუნველყოფს კრებაზე წესრიგის დაცვას;

ე) საჭიროების შემთხვევაში აცხადებს შესვენებას;

ვ) ახორციელებს ამ რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. კრებაზე საკითხის განხილვა წარმოებს დღის წესრიგით დადგენილი რიგითობის შესაბამისად.

5. ასოციაციის წესდების დამტკიცებამდე კრების თავმჯდომარე კრებას წარმართავს წინამდებარე რეგლამენტით დადგენილი წესით, ხოლო წესდების დამტკიცების შემდეგ - წესდებით დადგენილი წესით.

6. კრების მიმდინარეობა აისახება სხდომის ოქმში, რომელიც დგება ელექტრონულად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

7. კრებაზე აუდიო-, ვიდეო ჩაწერა დასაშვებია ისე, რომ ხელი არ შეეშალოს კრების მიმდინარეობის პროცესს.

მუხლი 4. ღია კენჭისყრის წესი და პროცედურა

1. საორგანიზაციო კომისია, კრების ხმის დამთვლელი კომისიის არჩევამდე, ღია კენჭისყრის დროს უზრუნველყოფს ხმების დათვლას.

2. კენჭისყრის შედეგები (მომხრე, წინააღმდეგი, თავი შეიკავა) წარედგინება კრების თავმჯდომარეს და მოხსენდება კრებას.

3. ასოციაციის წესდების დამტკიცებამდე კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უმრავლესობით.

მუხლი 5. კრების დამკვირვებლისა და სტუმრის სტატუსის მქონე პირები

1. კრებას შეიძლება დაესწრონ დაინტერესებული პირები დამკვირვებლის სტატუსით. დამკვირვებელთა ვინაობა წერილობით ეცნობება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შემდეგ ელ. ფოსტაზე: council@hcoj.gov.ge, 2019 წლის 13 დეკემბრის 17 საათამდე.

2. კრებაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ სტუმრის სტატუსის მქონე პირები.

3. დამკვირვებლისა და სტუმრის სტატუსის მქონე პირები კრებაზე დაიშვებიან წინასწარ შედგენილი სიების საფუძველზე.

4. დამკვირვებლები და სტუმრის სტატუსის მქონე პირები აკვირდებიან კრების მიმდინარეობის პროცესს და არ სარგებლობენ სიტყვით გამოსვლისა და კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებით.

მუხლი 6. დასკვნითი დებულება

წინამდებარე რეგლამენტი გამოიყენება კრების კვორუმის არარსებობის ან „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მომდევნო კრების ჩატარებისას.